სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 18 თებერვალი 2006 №36 (2658) ფასი 50 თეთრი

ხუთწლიანი მოლოდინი ტრაგიკულად დასრულდა

ლევან კალაძის საქმე გაიხსნა

ფოტო: ოლეგ ფოფალაძის



35! საქართველო მალტაზე ორი ნაკრებით მიდის

საქართველოს ნაკრებში სამთავარმწვრთნელო დებიუტი კლაუს ტოპმიოლერს 25 თებერვალს მალტის ტურნირის გახსნის შეხვედრაში ლიბიელებთან უნდა ჰქონოდა, მაგრამ დებიუტის ორი დღით გადადება მოუწევს — ლიბიელთა მოულოდნელმა უარმა ოთხთა ტურნირის ფორმატი და განრიგი შეცვალა.
გუშინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე მალტისთვის შერჩეული შემადგენლობა გამოცხადდა, რომელიც ერთმა თაბახმაც ვერ დაიტია — სიაში ერთბაშად 35 ფეხბურთელია.

ირეკლეა თასს დასჯერდა ერესკლი

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

შევთანხდეთ!

პარაგვაის და საქართველოს ავსტრიასთან სალაპარაკო აქვთ

დღეს ქართული დელეგაცია 31 მაისს ავსტრიაში გასამართი ამხანაგური შეხვედრის თაობაზე პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციასთან ოფიციალურ კონტრაქტს გააფორმებს. მოლაპარაკებათა გაჭიანურება ერთი მხრივ პარაგვაელთა მოთხოვნამ განაპირობა — მატჩის საზღაურად ავსტრიელი ორგანიზატორებისგან 50 ათას ევროს ითხოვენ. თავისი წილი მოთხოვნა აქვს ქართულ მხარესაც — ავსტრიელებმა ჩვენი ნაკრების ოთხდღიანი შეკრება უნდა დააფინანსონ. რა შუაშია ავსტრიელი ორგანიზატორი? გავიხსენოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პარაგვაელები ინგლისელთა თანაჯგუფელები არიან, ანუ ალბიონზე სამხრეთამერიკელთა ყველა მატჩის ტრანსლაცია ბევრნულიან თანხად ფასობს და ამით ყველაფერი ცხადი გახდება...

ინგლისი

ჩემპიონატი
XXXV ტური
ლუთონი 3:2 რედინგი

მეორე ლიგა
XXXIV ტური
ნორთჰემპტონი 1:0 ტორკი

კონფერენსლიგა
XXX ტური
გრეიმსენდი 1:3 აკრინგტონი

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXII ტური
ბრაუნშვაიგი 1:0 დინამო
კარლსრუე 1:1 ფრაიბურგი
მიუნხენი 1:1 ოფენბახი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XX ტური
ტრირი 2:0 ელვერსბერგი

იტალია

სერია C/B
XXIII ტური
ფროზინონე 0:1 სანჯოვანეზე

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XXVII ტური
ლიონი 3:1 ნანტი

მეორე დივიზიონი
XXVI ტური
ამიენი 1:1 ბრესტი
კლერმონი 2:0 ბასტია
გენგამი 0:0 კრეტეი
ისტრი 2:1 გრენობლი
ლავალი 0:0 ლე ავრი
ლორიანი 1:0 დიჟონი
რეიმსი 0:1 მონპელიე
სედანი 1:1 კაენი
სეტე 2:0 გენიონი
ვალანსიენი 2:0 შატორუ

ბელგია

იუპილერლიგა
XXIII ტური
ანდერლეხტი 2:0 ბრიუსელი

ჰოლანდია

ერედივიზიონი
XXV ტური
ნაიმეგენი 0:3 ტვენტე
ვიტესი 1:3 პსვ

მეორე დივიზიონი
XXX ტური
აპელდორნი 1:4 ეინდჰოვენი
კამბური 0:0 ზვოლე
ემენი 1:2 ოსი
ეძელსიორი 0:1 დორდრეხტი
დენ ბოსხი 3:1 ვეენდამი
სიტარდი 0:3 ჰაარლემი
იგლსი 1:2 ვოლენდამი
ჰელმონდი 3:1 ალმერე
ტელსტარი 0:1 გრაადსხაპი
ვენლო 1:3 მაასტრიხტი

პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური
ბოავიშტა — რიუ ავე
გვიან დამთავრდა

თურქეთი

სუპერლიგა
XXI ტური
ბეშიძთაში 0:1 რიზე

ხორვატია

ნაციონალლიგა
XIX ტური
ინტერი 2:1 სლავენი

ამხანაგური მატჩები

ტაილანდი 4:3 ერაყი
ბაჰრეინი 0:2 პალესტინა

ლევან კალაძის საქმე გაიხსნა

კახა კალაძის ძმის, ლევანის საქმე გაიხსნა. გეხსომებათ, ლევან კალაძე 2001 წლის 23 მაისს სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიიდან გაიტაცეს და მას შემდეგ ათასგვარი ვერსია ითქვა, თუმცა ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ ლევანი ცოცხალი აღარ იყო.

გუშინ კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს, სადაც გამოცხადდა, რომ ლევან კალაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილები — თემურ გაგნიძე, დავით ასათიანი, დავით ცინცაძე და მერაბ ამისულაშვილი სხვადასხვა ქვეყნებში, რუსეთში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში დააკავეს.

ვანო მერაბიშვილის თქმით, ლევან კალაძის გვამის გენური იდენტიფიცირებისას მოკლულის ვინაობა გაირკვა. დნმ-ის ანალიზი აშშ-ში გაკეთდა და ლევანის დედის დნმ-ს დაემთხვა. ასევე გაცხადდა, რომ ლევან კალაძის მამას — კარლოს, შვილის გამოსასყიდი თანხა რამდენჯერმე აქვს გადახდილი, მათ შორის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი კრიმინალურ ავტორიტეტ გვიჩიანისთვისაც.

და კიდევ: შსს-ის ვარაუდით, ლევან კალაძე გატაცებიდან ერთ თვეშია გარდაცვლილი.

ალექსანდრე იაშვილი:

ტოპმიოლერზე გერმანიაში დღემდე ლაპარაკობენ

გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველი კაპიტანი ალექსანდრე იაშვილი ტრავმირებულია და ერთი კვირაა, მკურნალობს. ჩვენიანს ვარჯიშზე თანაგუნდელი მოჰამადი დაეტაკა და ორივემ მუხლი დაიზიანა. თავიდან ტრავმა თურმე არც ისე სერიოზული ჩანდა, თუმცა მოგვიანებით იაშვილს ათდღიანი უქმობა გამოუწერეს, რის გამოც მან წინა შაბათს „ოფენბახთან“ მატჩიც გამოტოვა და „ფრაიბურგს“ ვერც გუშინ გაჰყვა კარლსრუეში სათამაშოდ...

— მუხლის დაზიანების შემდეგ სამი-ოთხი დღე ვიმკურნალე. მერე ვარჯიში განვაახლე, მაგრამ ველარ ჩავამთავრე, ტკივილმა შემაწუხა — გვითხრა *ალექსანდრე იაშვილმა* — გუშინ მსუბუქად ისევ ვივარჯიშე და გუნდთან ერთად კარლსრუეში წასვლაც შემეძლო, მაგრამ აღარ გავრისკეთ და ფრაიბურგში დავრჩი. 27 თებერვალს „მიუნხენთან“ ძალიან პრინციპული მატჩი გვაქვს და იქამდე, ალბათ, ბოლომდე გამოჯანმრთელებას მოვასწრებ. „მიუნხენთან“ თამაშის შემდეგ კი პირდაპირ მალტაზე გავემგზავრები, ეროვნულ გუნდში უკვე გამომიძახეს და ნაკრებში ერთ მატჩს ჩავატარებ.

— ნაკრების ახალი მწვრთნელი უკვე გაიცანი?

— ჯერ არა. კლაუს ტოპმიოლერს მალტაზე შევხვდები. მისი დიდი იმედი მაქვს, ძალიან ძლიერი მწვრთნელია და მის ხელში, ალბათ, უკეთ ავთამაშდებით. აქ, გერმანიაში, დღემდე სალაპარაკოა, რომ საქართველომ უმაღლესი დონის სპეციალისტი მოიწვია.

— ფრაიბურგში რას ამბობენ, ბუნდესლიგაში დაბრუნების შანსებს როგორ აფასებენ?

— ჯერჯერობით „ფრაიბურგი“ კარგად მიდის. ლიდერებს სულ ქულით ჩამოვრჩებით და დღეს თუ „კარლსრუეს“ მოვუგებთ, სამეულშიც შევალთ. თუმცა ახლა დამირეკეს და მითხრეს, კარლსრუეში მოედანი დატბორილია და მატჩი შეიძლება, გადაიდოსო. ასე თუ იქნება, მერე „კარლსრუესთან“ გუნდს მეც დავეხმარები. ხვალ-ზეგ ვარჯიშებს უკვე მთელი დატვირთვით დავიწყებ.

კოტა ინასარიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

ტოპის ორმაგი შანსი

ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები, უკრაინა და იტალია 2 ივნისს შვეიცარიაში ამხანაგურად გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ასე რომ, საქართველოს ნაკრების თავკაცობას მშვენიერი შანსი აქვს, ერთბაშად ორი მეტოქე ნახოს საქმეში, მით უმეტეს, ამ მატჩამდე ორი დღით ადრე ჩვენი ეროვნული გუნდი იქვე, მეზობლად, ავსტრიაში პარაგვაის ეთამაშება.

აქვე გეტყვით, რომ უკრაინელები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ლუქსემბურგს, აზერბაიჯანსა და ერთ-ერთ ევროპულ კლუბსაც გაეჯიბრებიან.

კახა შალამბერიძე

ინფორმაცია განსჯისთვის

საქართველო მალტაზე მალტის შემდეგ ჩავა

ნაკრების გაფართოებული სია საკმაოდ მსუყე მასალაა ანალიტიკის მოყვარულთათვის, თუმცა სჯობს, ანალიზი მალტის ტურნირის ბოლოსთვის გადავდოთ, ამჯერად კი გადავწყვიტეთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოგთავაზოთ რამდენიმე დაკვირვება, რომელიც „ხელის გულზე დევს“.

...ნაკრებში გამოძახებული 35 ფეხბურთელიდან ქართულ კლუბებს 14 წარმოადგენს. აქედან ერთადერთი — ზვიად სტურუა არ არის კობა ჟორჟიკაშვილის ნაკრების წევრი.

...მალტური შეკრების პირველი ოთხი დღის განმავლობაში კლაუს ტოპმიოლერის განკარგულებაში 20 ფეხბურთელი იქნება. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ლეგიონერები, ზურაბ მენთეშაშვილი, მათე ღვინიანიძე, ჯაბა კანკავა, ზაალ ელიავა, რევაზ გოცირიძე და ოთარ მარცვალაძე კუნძულზე დროულად ჩასვლას შეძლებენ.

...ნაკრებში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე 14 ფეხბურთელიდან ყველაზე მეტი (6) „ზესტაფონის“ წევრია.

...საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ გათამაშების ცხრილს სათავეში „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“ და „სიონი“ უდგანან. რამდენი ფეხბურთელია შეყვანილი ამ სამი გუნდიდან ნაკრების გაფართოებულ სიაში? არც ერთი!

— ოთარ მარცვალაძე სანაკრებო სიაში ნახევარმცველად არის შეყვანილი (?). აქედან გამომდინარე, მალტის ნაკრებთან შეხვედრაში კლაუს ტოპმიოლერის განკარგულებაში სულ ორი თავდამსხმელი იქნება — რევაზ გოცირიძე და ბექა გოცირიძე.

— კახა მჟავანაძე და ილია კანდელაკი ნაკრებს ორი დღის დაგვიანებით შეუერთდებიან და მალტასთან ნამატჩევს დატოვებენ კუნძულს. ლევან ცქიტიშვილი კი 26 თებერვალს ჩავა მალტაზე და მისი თამაში მასპინძელთა ნაკრებთან საეჭვოა.

— ტურნირის ბოლო შეხვედრის წინ ტოპმიოლერი 12-კაციან შევსებას, ანუ ნაკრების ბირთვს მიიღებს. მათგან ერთი მეკარეა, სამი მცველი, ოთხი ნახევარმცველი და ოთხი თავდამსხმელი. თუ ტოპმიოლერი მოლდოვასთან 3-4-3 სისტემით ითამაშებს, სასტარტო შემადგენლობის შერჩევისას ერთი „ზედმეტი“ თავდამსხმელი დარჩება.

გიორგი ნოზაძე

მე ვარ, ცხინვალიც იქნება

საშინელ დღეში მყოფი „ცხინვალი“ ცოტა ხანს ამოისუნთქებს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კლუბს 10 ათასი ლარი აჩუქა. საბანი სადამდეც გაგვწვდებაო, ხომ გაგიგიათ, ჰოდა, „ცხინვალიც“ ყოველწლიურად მიჩვეულია თანხის დაზოგვას, ეს 10 ათასიც, ალბათ, ერთ თვეს გასწვდება.

კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ზურაბ ნასუაშვილმა გვითხრა, ნოდარ ახალკაცმა ერთჯერადი დახმარება გაგვიწია, მაგრამ დარწმუნებით განაცხადა, სანამ მე ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, „ცხინვალი“ არ დაიშლებაო.

„ჩემპიონატის მეორე წრე 22 თებერვალს იწყება, მანამდე კი შეძლებისდაგვარად შეკრებას მოვასწრებთ და თამაშებს მთლად მოუმზადებლები არ შევხვდებით. ნოდარ ახალკაცს დიდ მადლობას ვუხდით. მან ისიც გვითხრა, რომ ყველანაირად ეცდება, „ცხინვალი“ ისევ ჩაჯდეს ბიუჯეტში და ადრინდელ 80 ათას ლარზე მეტი დახმარება მიიღოს. ყველამ იცის, ჩვენ ამ ეტაპზე სპორტული მიზნები არ გვაქვს, უბრალოდ, „ცხინვალმა“ უნდა იარსებოს“ — გვითხრა ნასუაშვილმა.

სამაჩაბლოურმა კლუბმა გორის „დილადან“ შევსებაც მიიღო — მიხეილ თაყაძე, კობა ხანიშვილი, გივი ქარქუზაშვილი, გიორგი ბუთხუზი და საბა სულთანიშვილი. ნასუაშვილის თქმით, რუსეთის ერთ-ერთ ქვედალიგელ კლუბში ისინჯება დავით ხანიშვილი, ხოლო დღე-დღეზე შესაძლოა, გუნდიდან დროებით წასული დავით დათვაძე დაიბრუნონ. „ცხინვალის“ მწვრთნელები კი ისევ ივანე თაყაძე და ზურაბ მაისურაძე იქნებიან.

ილია ნანოგაჩვილი

ქართველები ორ კამერაში

ვის შეხვდება ვალეტის კოზირი?

ლიბიელთა უპირობის გამო ზუსტად ცხრა დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით პირველ შეხვედრას მალტასთან გამართავს. მალტურ ლა ვალეტაში ტრადიციულ ოთხთა, აწ კი სამთა ტურნირზე წამსვლელთა სია ფეხბურთის ფედერაციამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გარდა კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეები, რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი, აგრეთვე 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი ესწრებოდნენ.
ლიბიელებზე კი იმას მოგახსენებთ, რომ გუშინ მათ მალტის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი აფრინეს, ტურნირში მონაწილეობას ვეღარ ვახერხებთო. ბუნებრივია, ეს ამბავი პრესკონფერენციის მსვლელობისას არავინ იცოდა და არ გაგიკვირდეთ, ახალკაცი და მინგე ლიბიელებთან მატჩზეც თუ ლაპარაკობენ...



ნოდარ ახალკაცი, რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სანაკრებო სიაში 35 ფეხბურთელია, თუმცა წარმოდგენილ ცხრილში პლუსებითაა აღნიშნული, რომელი მათგანი რომელი შეხვედრისთვის იქნება მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში.

რა ინფორმაციის საფუძველზე და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შედგა სია? ჯერ რალფ მინგემ, შემდეგ კი ნოდარ ახალკაცმა შეძლებისდაგვარად გასცეს პასუხი ამ კითხვას...

რალფ მინგე: ეს სია ორი ფაქტორის გათვალისწინებით შედგა. ჰაინცმა ნახა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშები პორტუგალიაში. ამას გარდა, თვალი მივადევნეთ ორ ამხანაგურ შეხვედრას აზერბაიჯანელებთან და კონსულტაცია გავიარეთ საქართველოს 21 და 19-წლამდელთა ნაკრებების ხელმძღვანელებთან. შევეცადეთ, მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიგველო თითოეული ფეხბურთელის შესახებ.

ჩვენი ამოცანაა, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ კონცეპტუალურად და სტრატეგიულად. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ახალგაზრდა ტალანტების განვითარებაზე. მათ მალტაზე საქმეში აუცილებლად ვნახავთ თუნდაც იმის გამო, რომ ლეგიონერების დიდი ნაწილი მხოლოდ ტურნირის ბოლო შეხვედრისთვის შემოგვიერთდება. ვფიქრობ, ნაყოფიერი ერთკვირიანი შეკრება გამოგვივა. მალტაზე ექვს-შვიდ ვარჯიშს ჩავატარებთ და სამ შეხვედრას გავმართავთ, რის შემდეგაც თითოეულ ფეხბურთელზე ამომწურავი ინფორმაცია გვექნება. ამ მხრივ მალტა ჩვენი პირველი ნაბიჯია — ყველას, ვისაც სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია, უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შანსი.

...შესაძლებელია, 22 მარტს ალბანეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში სულ სხვა შემადგენლობა გვყავდეს. ეს თარიღი უეფას კალენდარში სანაკრებო დღედ არ არის შეტანილი და ლეგიონერების გამოძახებას ვერ შევძლებთ. აქედან გამომდინარე, მთავარია, 22 მარტამდე საქართველოს ჩემპიონატში მაქსიმალურად მეტ შეხვედრას დავესწროთ. აუცილებლად გავესაუბრებით ქართული კლუბების მწვრთნელებს და გავითვალისწინებთ მათ მოსაზრებებს. ზაფხულამდე ჩვენი უპირველესი ამოცანა ინფორმაციის შეგროვება იქნება.

ნოდარ ახალკაცი: ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მივაწოდეთ ინფორმაცია იმ ფეხბურთელების თაობაზე, რომლებსაც საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში უთამაშიათ, აგრეთვე ჩვენი ნაკრებების მატჩების ვიდეოფირები. მალტის ტურნირის დებულებით გათვალისწინებული 18-ის ნაცვლად ტურნირზე 35 ფეხბურთელი მიგვყავს. ეს არის დროებითი სია, რადგან იგივე ალადაშვილი, აშვეთია, კვირკველია და გოგუა ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან, მაგრამ დღეს უგუნდოდ, გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. ჩვენ კი ჯერ ამ 35 ფეხბურთელს ვნახავთ, მერე სხვებსაც.

...მალტაზე გასამართი მატჩების ტელეტრანსლაცია არ იგეგმება. ეს თავად მწვრთნელების სურვილია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთისგან გავათავისუფლოთ. აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა ორი კამერით გადავიღეთ, რაც ასევე გერმანელ მწვრთნელთა მოთხოვნა იყო. ერთი კამერა, ასე ვთქვათ, ბურთს დასდევდა, მეორე კი ჩვენი გუნდის დაცვის ხაზს აკონტროლებდა. შესაძლოა, მალტაზეც ორი კამერით გადავიღოთ შეხვედრები.

–რაც შეეხება ევროშესარჩევის კალენდარს, იმედი გვაქვს, რომ საქმე უეფამდე არ მივა. გუშინ ღამით ფრანგები დაგვიკავშირდნენ და გვაცნობეს, რომ ფარერებთან მატჩების ადგილები გაცვალეს — ბოლო ტურში ფარერებზე ითამაშებენ. ამით უკრაინას ის არგუმენტი გამოაცალეს, რომ ოთხი დასკვნითი მატჩის შინ გამართვით უპირატესობას იღებდნენ. წლეულს მხოლოდ ორი ოფიციალური შესარჩევი შეხვედრის გამართვა კლაუს ტოპმიოლერის სურვილი იყო, რადგან გუნდს ჯერ სათანადოდ არ იცნობს. იტალიასთან პირველივე ტურში სტუმრად თამაშიც მისივე სურვილია — 2 სექტემბერს იტალიელები ალბათ არ იქნებიან ოპტიმალურ ფორმაში, თანაც თუ 6 სექტემბერს არ ვითამაშებთ, იტალიაშივე ოთხდღიან შეკრებაზე დარჩენის და გუნდის შეთამაშების საშუალება გვექნება.

–დაველოდოთ კალენდარს და წლეულს თბილისში ამხანაგური შეხვედრის გამართვაც ამის შემდეგ გირკვევა. აუცილებლად შევეცდებით, ოქტომბერში თბილისში სპარინგი დავგეგმოთ, ამას გარდა კი უეფას ოფიციალური სანაკრებო დღის, 15 ნოემბრის გამოყენებაც შეიძლება.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა მალტის საერთაშორისო ტურნირისთვის

	25/02/2006 ლიბია	27/02/2006 მალტა	1/03/2006 მოლდოვა
მეკარეები			
ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი)	—	—	+
ზვიად სტურუა (დინამო)	+	+	+
რევაზ თევდორაძე (თბილისი)	+	+	+
მცველები			
კახა კალაძე (მილანი, იტალია)	—	—	+
ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი)	—	—	+
კახა მჟავანაძე (ჩერნომორეცი, უკრაინა)	—	—	+
ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია)	+	+	+
მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი)	+	+	+
ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა)	—	+	—
ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია)	—	—	+
გიორგი ფოფხაძე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)	+	+	+
გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი)	+	+	+
დავით მჭედლიშვილი (ამერი)	+	+	+
გულვერდ თომაშვილი (დინამო)	+	+	+
ნახევარმცველები			
მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)	—	—	+
ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)	—	—	+
ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია)	—	+	+
გიორგი ქინქლაძე (რუბინი, რუსეთი)	—	—	+
ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა)	+	+	+
დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია)	—	—	+
ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია)	+	+	+
ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა)	+	+	+
გიორგი განუგრავა (ზესტაფონი)	+	+	+
გიორგი ჭელიძე (ზესტაფონი)	+	+	+
კახა მახარაძე (დინამო)	+	+	+
გოგი ფიფია (ზესტაფონი)	+	+	+
მირზა ბჟალავა (ზესტაფონი)	+	+	+
ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო)	+	+	+
ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი)	+	+	+
თავდამსხმელები			
გიორგი დემეტრაძე (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი)	—	—	+
შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია)	—	—	+
ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია)	—	—	+
რევაზ გოცირიძე (კამაზი, რუსეთი)	+	+	+
ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა)	—	—	+
ბექა გოცირიძე (ზესტაფონი)	+	+	+

დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

მცხეთა. 18 თებერვალი. 14 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი);
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე; დელეგატი: ნ. კაკულია

გურამ დოლიძეს ფოტო

ამინდი თუ გაჯიუტდა, „ვიტ ჯორჯიას“ და „ლოკომოტივს“ დღესაც გვარიან ტალახში მოუწევთ თამაში

ვიტ ჯორჯიამ მარცვალაძის ადგილი შეავსო

ლოკომოტივს სიურპრიზის იმედი აქვს

თუ მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველადგილოსანი „ვიტ ჯორჯიას“ და მესამეადგილოსანი „ლოკომოტივის“ სათასო შეხლამ, წესით, ჭახანი უნდა გაადინოს, მაგრამ „ლოკომოტივი“ პირველი წრის „ლოკომოტივი“ აღარ არის, გუნდი თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მიუხედავად ამისა, ამ სათასო წყვილს უინტერესო და უინტრიგო მაინც არ ეთქმის — სეზონის მეორე ეტაპზე ეს ორივე გუნდისთვის პირველი მატჩია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თანაც სათასო შეხვედრებში სენსაციები არცთუ იშვიათია...

ნესტორ მუმლაძე, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი: ტრავმირებული გვყავს მცველი დავით ლომაია, ის ავარის „მეშაქრესთან“ საკონტროლო მატჩში დაგვიშავდა და „ლოკომოტივთან“ პირველ შეხვედრაში ვერ ითამაშებს. დანარჩენი ფეხბურთელები ჯანმრთელად არიან.

— გადაწყდა, რომ ოთარ მარცვალაძე „ვიტ ჯორჯიაში“ არ დაბრუნდება — ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ახალი ფორვარდი არ დაგიმატებიათ?

— ახლახან შევიმატეთ ვასილ ღუჭაშვილი, ვინც ბოლოს თბილისის „სპარტაკში“ თამაშობდა. მასთან კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ.

— „ლოკომოტივთან“ მატჩზე რას იტყოდით?

— ვფიქრობ, „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები კარგ ბრძოლას გაგვიმართავენ და იოლად არაფერს დაგვითმობენ. რთული თამაში გველის, სათასო მატჩებს ხომ განსაკუთრებული სპეციფიკა აქვთ.

— **მალტის ტურნირზე ეროვნულ ნაკრებში 35 ფეხბურთელი გამოიძახეს, „ვიტ ჯორჯიადან“ კი არავინ...**

— როცა კლაუს ტოპმიოლერი თვითონ დააკვირდება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს, იმედი მაქვს, რომ ნაკრებში „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებსაც გამოიძახებს.

სოსო სირაძე, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი: პირველი წრის შემდეგ „ლოკომოტივი“ თითქმის მთელმა გუნდმა დატოვა და ახლა ჩვენთან ყველაზე უფროსი ფეხბურთელი 21 წლისაა. თუმცა მხნედ ვართ და თუ ფსიქოლოგიურმა პრობლემამ არ იჩინა თავი, „ვიტ ჯორჯიას“ მაგარ ბრძოლას გავუმართავთ. უპირატესობა მეტოქის მხარესაა, მაგრამ იმის იმედიც გვაქვს, რომ სათასო მატჩებმა სიურპრიზები იცის.

— ყველა ფეხბურთელი მწყობრში გყავთ?

— ტრავმირებულნი არიან გიორგი კახელიშვილი, დაჩი ფოფხაძე, რამონი, გიორგი ყიფიანი და ზურაბ ავალიანი. დაშავებულია გიორგი ალავერდაშვილიც, თუმცა ის ალბათ განაცხადში მაინც იქნება.

დავით თავართქილაძე

ზესტაფონი. 18 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დინამო

გადაიდო

ხვიჩა ქასრაშვილი: ცხადაძის საკონსულტაციო არაფერი მჭირდა

პროფლიგამ ბოლნისი შევარდენზე დაინახა

ბოლნისელთა მოთხოვნამ, ჩვენთან თოვლია და სტადიონი შეილახებაო, სანახევროდ გაჭრა — გუშინ პროფლიგის გენდივანმა რევაზ ლოთქიფანიძემ „თამაზ სტეფანია“ დაათვალიერა, მაგრამ თამაში მაინც არ გადაიდო: „სიონ“ — „ბორჯომის“ სადღეისო ჯახი თბილისის „შევარდენზე“ გაიმართება. რა თქმა უნდა, ქვემოქართლელთათვის ვერაფერი ხეირია საშინაოს ნაცვლად ნეიტრალურ სტადიონზე თამაში, მაგრამ...

„სიონმა“ ჩემპიონატის პირველ წრეში შინ 1:0 მოუგო კურორტელებს, მაგრამ დღეს არც იმ მატჩში გოლგამტანი ჯაბა დვალი და არც კიდევ რამდენიმე ლიდერი ჰყავს. ახალ ფეხბურთელთა უმეტესობა კი „სიონს“ ჯერ არ შეუყვანია განაცხადში.

ამ მხრივ „ბორჯომს“ დიდად არ უჭირს — საჩემპიონატო განაცხადში ერთი არგენტინელი, დარიო სებალე უკვე შეიყვანა და დიდი შანსია, დღეს ათამაშოს კიდეც.

მოკლედ, ამ წყვილში სასწორი სოსო ფრუიძის გუნდისკენ გადაიხარა, მაგრამ თასია და, რა იცი, რა ხდება...

და მთავარიც... ხვიჩა ქასრაშვილი „სიონის“ თავკაცი აღარაა, იგი გუშინ თავისი ნებით წავიდა გუნდიდან და გადაწყვეტილებაც გულახდილად აგვიხსნა — თავი და თავი კახა ცხადაძის „სიონის“ მწვრთნელ-კონსულტანტად დანიშვნა ყოფილა.

გუშინვე „სიონის“ მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა. მალე მასთან, სავარაუდოდ, ნახევარწლიანი კონტრაქტი გაფორმდება.

ხვიჩა ქასრაშვილმა კი ეს გვითხრა: ვერ გავიგე, რატომ უნდა ყოფილიყო ცხადაძე ჩემი კონსულტანტი. „სიონი“ მეორე ადგილზეა, პატიოსნად ვმუშაობდი და რაში მჭირდებოდა მრჩეველი? ფეხბურთში შედეგია მთავარი და ისიც ვთქვათ, რომ ცხადაძის გაწვრთნილი „დინამო“ მეოთხე ადგილზე იყო, დინამოელთა მეათედი ბიუჯეტის მქონე „სიონი“ კი მეორეზე. მოკლედ, ცხადაძის საკონსულტაციო არაფერი მჭირდა.

... ბოლნისის რაიონის გამგებელგია არევაძეს შეეხვდი და წასვლის თაობაზე ვუთხარი. ყველანაირად მაიძულეს, რომ ჩემი პირით მეთქვა „სიონზე“ უარი.

...ახლახან დამირეკა ერთ-ერთმა კლუბმა და მწვრთნელობა შემომთავაზა, მაგრამ ერთი-ორი დღე უნდა დავისვენო. ვიცი, უმუშევარი არ დავრჩები.

ილია ნანოგაშვილი

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. შევარდენი

სიონი — ბორჯომი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი);
დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დელეგატი: გ. ჯიშკარიანი

ალექსანდრე ფოფორეს ფოტო

„სიონში“ ცვლილებაა: კახა ცხადაძემ ხვიჩა ქასრაშვილის ადგილი დაიკავა

ამერი კოლხეთს გლდანს გააცნობს

ფოთის „კოლხეთი“ თბილისის „ამერს“ დღეს პირველად ესტუმრება და გლდანის მოედანს ყიფიანის თასის მეოთხედფინალით დააჭაშნიკებს. მატჩი კი, მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, ორივე გუნდისთვის სეზონში პირველი ოფიციალური იქნება და სათამაშო პრაქტიკის უქონლობას თუ გავითვალისწინებთ, მაინცდამაინც თვალსაჩინო სანახაობას არც უნდა ველოდოთ. თუმცა სწორედ მოსამზადებელი პერიოდის ნაყოფიერება გვაფიქრებინებს, რომ ამ წყვილში ფავორიტი მასპინძელი უნდა იყოს.

„ამერმა“ იანვარში ჯერ ორკვირიანი ბაკურიანული შეკრება გაიარა და ფიზიკური კონდიციები გაიუმჯობესა, მერე კი ასევე ორი კვირა ანთალიაში დაჰყო და რამდენიმე ამხანაგური მატჩით ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბების საშუალება მიეცა. ხოლო სიახლეს მასპინძელთა რიგებში ალბათ დღესვე ვნახავთ — ბოლნისის „სიონიდან“ „ამერში“ ამ ზამთარში გადასულ დავით ბოლქვაძეს, თენგიზ ჩიკვილაძესა და გრიგოლ დოლიძეს ფედერაციის ახალი დებულების თანახმად სათასო მატჩებში მონაწილეობის უფლება აქვთ და უნდა ვივარაუდოთ, „ყვითლების“ მწვრთნელი ამ ფეხბურთელებს პირველად სწორედ „კოლხეთთან“ გამოიყენებს. თუმცა თბილისელებს დღეს დანაკლისიც ექნებათ — დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს კაპიტანი გიორგი დავითნიძე.

„კოლხეთის“ ამბავი კი ასეთია: ფოთელებმა მთელი მოსამზადებელი პერიოდი შინ გაატარეს, რამდენიმე დღით გრიგოლეთში ჩავიდნენ და საწვრთნელი მატჩები ოზურგეთის „მერცხალთან“ და „ბათუმთან“ გამართეს. ფოთელთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. „კოლხეთმა“ „მერცხალიდან“ ტანმაღალი მცველი მიხეილ ქობულაძე დაიბრუნა, ხოლო მეკარე ზურაბ ბათიაშვილი „სიონს“ დაუთმო. როგორც ვიცით, პირველი წრის მერე ჩემოდანი ჰქონდა ჩალაგებული ფოთელთა მთავარმეგოლე ზვიად ქუთათელაძეს, მაგრამ ის გუნდში დარჩა და მწვრთნელმა სოსო ფილიამ დღეს სათამაშოდ იახლა.

წლეულს ჩვენი ერთ-ერთი მიზანი თასის მოპოვებაა — ფოთელთაგან განსხვავებით „ყვითლებისგან“ ეს ხშირად გვსმენია და საამტჩოდ მასპინძელთა განწყობასაც თუ გავითვალისწინებთ, სტუმართა წარმატებული გლდანური დებიუტი, ცოტა არ იყოს, მუქ ფერებში წარმოისახება. ისე კი, ვიდრე ეს მეოთხედფინალი დაიწყება, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდისთვის მაინც თანაბარია. როგორც „ამერი“ იქნება დღეს მასპინძელი, ისე იქნება „კოლხეთი“ 7 მარტს...

კოგა ინასარიძე

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ამერი

ამერი — კოლხეთი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი);
დამკვირვებელი: ო. გუნთაძე; დელეგატი: შ. ბაქრაძე

ამბიციურ და ხმაურიან „ზესტაფონს“ ახალწვეული ჰყავს — 21 წლის შუახაზელი **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე**, რომელიც იმერულ კლუბში თბილისის „დინამოდან“ გადავიდა. ჭელიძე ქართულმა საფეხბურთო მილეთმა 2003-04 წლების სეზონში გაიცნო „თბილისში“ თამაშით და გიორგი ერთი ხანობა ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანიც იყო. ის მოუღლელი და სწრაფია, შეტევაც ეხერხება და ჩაშლაც, თუმცა „დინამოში“ საქმე ვერ აეწყო. „დინამოდან“ „ზესტაფონში“ — 21 წლის ფეხბურთელისთვის ასეთი ტრანსფერი ერთი შეხედვით სახარბიელო არ უნდა იყოს, თუმც ჭელიძეს საკუთარი არგუმენტები აქვს...

ბადრი კეთილაძის ფოტო

რატომ გადავიდა ჭელიძე დინამოდან ზესტაფონში

ისინი ჰაერში უკვე ორჯერ შეხვდნენ

— „დინამოში“ თამაში არ მიწევდა და ამის გამო გადავწყვიტე იქიდან წამოსვლა. „დინამოს“ მაშინდელ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს ამის თაობაზე სამჯერ ვესაუბრე, მაგრამ ვითარება მაინც არ იცვლებოდა.

— „დინამოში“ მწვრთნელი შეიცვალა — ანდრეი ჩერნიშოვთან არ გისაუბრია?

— არა, ჩერნიშოვთან საუბარი აღარ მიცდია, ჩავთვალე, რომ ჩემთვის „დინამოდან“ წამოსვლა აჯობებდა.

— „დინამოს“ „თანამეგობრობის თასზე“ სათამაშოდ მოსკოვში რატომ არ ახლდი?

— ამის არანაირი სურვილი არ მქონდა და იმიტომ. თანაც „დინამოსთან“ კონტრაქტი იანვარში მიმთავრდებოდა.

— „დინამომ“ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მეოთხე ადგილზე რომ ჩაამთავრა, ამას რას დაამბალებდი?

— უიღბლობას და იმას, რომ შეთამაშება გვაკლდა.

— „ზესტაფონთან“ რა ვადიან კონტრაქტს აფორმებ?

— უკვე ორი დღეა, „ზესტაფონში“ ვვარჯიშობ, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, რაღაც ფორმალობებია მოსაგვარებელი. ალბათ, ორწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს და თუ კარგ უცხოურ გუნდში გადასვლის ვარიანტი გამომიჩნდება, ხელს არ შემიშლიან.

— რატომ მაინცდამაინც „ზესტაფონი“? დარწმუნებული ხარ, რომ „ზესტაფონის“ ძირითადში სტაბილურად ითამაშებ?

— ნდობის ფაქტორი რომ არ ყოფილიყო, „ზესტაფონში“ არც წამოვიდოდი. თანაც „ზესტაფონი“ ამბიციური გუნდია, მეორე წრისთვისაც კარგად მოემზადა და თუ რა მიზნისთვის ვიბრძოლებთ, სეზონის განახლებისას გამოჩნდება.

— პირველი წრის მერე „დინამოდან“ წამოხვედი და შეკრება, ფაქტობრივად, არსად გაგივლია...

— ახალგაზრდულ ნაკრებში რომ ვიყავი შეკრებაზე ჯერ თბილისში და მერე პორტუგალიაში, ძალიან კარგად მოვემზადე, შემდეგ აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთანაც ვითამაშე ორჯერ და საკუთარ თავს ვატყობ, რომ ფორმაში შევდივარ.

— საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ზესტაფონს“ შენს ყოფილ გუნდ „დინამოსთან“ მოუწევს ბრძოლა...

— სხვათა შორის, წლეულს „დინამო“ და „ზესტაფონი“ ერთმანეთს ორჯერ უკვე შეხვდნენ — ორივე კვიპროსზე იყო შეკრებაზე და იქ ერთიდაიგივე თვითმფრინავით წავიდნენ და წამოვიდნენ.

— ზოგს მიაჩნია, რომ შენ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე უნდა ითამაშო, ზოგი კი ცენტრალურ ნახევარმცველად გთვლის — საკუთარ თავს რომელ პოზიციას შეურჩევდი?

— „დინამოში“ სულაც მარცხენა ნახევარმცველადაც მათამაშებდნენ. მოვალე ვარ, მწვრთნელის გადაწყვეტილებას დავემორჩილო, მაგრამ ჩემი ასარჩევი რომ იყოს, ნახევარდაცვის ცენტრში ვითამაშებდი.

— მალტის ტურნირისთვის ეროვნულ ნაკრებშიც გამოგიძახეს...

— ეს ჩემი პირველი მიწვევაა ეროვნულ ნაკრებში და, ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა. ვფიქრობ, ასეთი დონის ტურნირისთვის მზად ვარ. როცა იანვარში ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად პორტუგალიაში ვიყავი, იქ პორტუგალიის B ნაკრებს ვეთამაშეთ, სერიოზული გუნდი იყო და საჭირო გამოცდილებაც შევიძინე. მოკლედ, მალტის ტურნირისთვის მობილიზებული ვარ.

დავით თავართქილაძე

ვინ ვის სად განსჯის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა უკვე დაასახელა მსაჯები, რომლებიც მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის საწყის რვა ტურს მოემსახურებიან

XVI ტური

22 თებერვალი

ბორჯომი — ბათუმი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, დ. კვეტენაძე, ა. ნონიკაშვილი

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე, ვ. ელისაბედაშვილი

დინამო — კახეთი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ზ. ჯვარიძე, ნ. რუსიშვილი, ო. ხეცაძე

ამერი — ტორპედო
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, მ. ბეუქლიშვილი

ზესტაფონი — თბილისი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ცირდავა, ზ. ასკაროღლი, ჯ. ბუიშვილი

სიონი — ლოკომოტივი
მსაჯები: დ. სანაია, კ. გაბრიაძე, ზ. ხუციშვილი, მ. მაისურაძე

23 თებერვალი

სპარტაკი — დილა
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია, ა. ორდინიძე

ცხინვალი — სოხუმი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, თ. ხუჭუა, მ. ნაკაიძე, ლ. კვარაცხელია

XVII ტური

4 მარტი

დილა — სიონი
მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

ლოკომოტივი — ტორპედო
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ლ. ფანიაშვილი

ბათუმი — სპარტაკი
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ხ. გაგნიძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე

სოხუმი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, დ. კვეტენაძე, პ. დოგრაშვილი

თბილისი — დინამო
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ურუშაძე, ა. გუნთაძე, ლ. სილაგავა

კახეთი — ცხინვალი
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, ზ. ხუციშვილი, დ. სანაია

კოლხეთი — ბორჯომი
მსაჯები: ა. ორდინიძე, გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე, გ. კიკაჩეიშვილი

ზესტაფონი — ამერი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი. ა. კრიჭაშვილი

XVIII ტური

11 მარტი

ტორპედო — დილა
მსაჯები: დ. სანაია, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე, ჯ. ბუიშვილი

ცხინვალი — თბილისი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, გ. ვადაჭკორია

დინამო — ზესტაფონი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. ხუციშვილი, გ. ცირდავა, ა. ნონიკაშვილი

ვიტ ჯორჯია — კახეთი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ასკაროღლი, ლ. კვარაცხელია

სიონი — ბათუმი
მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, ა. ორდინიძე

ამერი — ლოკომოტივი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი

ბორჯომი — სოხუმი
მსაჯები: ო. ხეცაძე, ა. გუნთაძე, ს. სპიცინი, მ. მაისურაძე

სპარტაკი — კოლხეთი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, დ. კურტანიძე, შ. ქუხილავა, მ. ბეუქლიშვილი

XIX ტური

15 მარტი

სოხუმი — სპარტაკი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. გურგენაძე, ლ. სილაგავა

კახეთი — ბორჯომი
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, გ. ცირდავა, დ. კურტანიძე, ა. კრიჭაშვილი

კოლხეთი — სიონი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, პ. დოგრაშვილი

ბათუმი — ტორპედო
მსაჯები: მ. მაისურაძე, დ. კვეტენაძე, ლ. თოდრია, ა. ნონიკაშვილი

დინამო — ამერი
მსაჯები: ა. ორდინიძე, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, დ. სანაია

ზესტაფონი — ცხინვალი
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი

დილა — ლოკომოტივი
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ნ. რუსიშვილი, ზ. ერქვანია, მ. ბეუქლიშვილი

თბილისი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ხუციშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ო. ხეცაძე

XX ტური

25 მარტი

სიონი — დილა
მსაჯები: დ. სანაია, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე, ჯ. ბუიშვილი

ბორჯომი — თბილისი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ჯ. ბუიშვილი

ცხინვალი — დინამო
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. ცირდავა, ზ. ფიფია, ვ. ელისაბედაშვილი

სპარტაკი — კახეთი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ნაკაიძე, ა. ორდინიძე

ტორპედო — კოლხეთი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, ხ. გაგნიძე, ლ. კვარაცხელია

ლოკომოტივი — ბათუმი
მსაჯები: დ. სანაია, ზ. მენთეშაშვილი, კ. გუდურაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

ამერი — დინამო
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ო. ხეცაძე

ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი
მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, გ. ვადაჭკორია

XXI ტური

29 მარტი

სოხუმი — ტორპედო
მსაჯები: ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, კ. გუდურაშვილი, ა. კრიჭაშვილი

თბილისი — სპარტაკი
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ა. გუნთაძე, ზ. ხუციშვილი, დ. სანაია

კოლხეთი — ლოკომოტივი
მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. ხუციშვილი, ს. სპიცინი, გ. კიკაჩეიშვილი

ბათუმი — დილა
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, მ. ურუშაძე, ზ. ბერულავა, მ. ბეუქლიშვილი

ზესტაფონი — ბორჯომი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, პ. დოგრაშვილი

ცხინვალი — ამერი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ჯვარიძე, შ. ქუხილავა, ა. ნონიკაშვილი

დინამო — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, გ. ჩიგოგიძე, ნ. რუსიშვილი, ლ. ფანიაშვილი

კახეთი — სიონი
მსაჯები: ა. ორდინიძე, კ. გაბრიაძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე

XXII ტური

1 აპრილი

ტორპედო — კახეთი
მსაჯები: დ. სანაია, გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე, ჯ. ბუიშვილი

სიონი — თბილისი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, თ. ხუჭუა, ლ. კვარაცხელია

ვიტ ჯორჯია — ცხინვალი
მსაჯები: ო. ხეცაძე, კ. გაბრიაძე, ზ. გურგენაძე, მ. მაისურაძე

სპარტაკი — ზესტაფონი
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი, ვ. გუმბერიძე, დ. ხარიტონაშვილი

დილა — კოლხეთი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი, ა. ორდინიძე

ამერი — ბათუმი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ცირდავა, მ. ელიკაშვილი, მ. ბეუქლიშვილი

ბორჯომი — დინამო
მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი

სოხუმი — ლოკომოტივი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ი. ურუშაძე, ზ. ასკაროღლი, გ. ვადაჭკორია

XXIII ტური

5 აპრილი

თბილისი — ტორპედო
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ერქვანია, ვ. ელისაბედაშვილი

ვიტ ჯორჯია — ამერი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ხუციშვილი, ხ. გაგნიძე, დ. სანაია

ცხინვალი — ბორჯომი
მსაჯები: მ. მაისურაძე, კ. ტეფნაძე, დ. კვეტენაძე, გ. კიკაჩეიშვილი

სოხუმი — დილა
მსაჯები: ა. ორდინიძე, კ. ბერაძე, ს. სპიცინი, ო. ხეცაძე

კოლხეთი — ბათუმი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, მ. ნაკაიძე, პ. დოგრაშვილი

დინამო — სპარტაკი
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ი. უკლება, ო. მოლოდინაშვილი, ა. ნონიკაშვილი

კახეთი — ლოკომოტივი
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ზ. ბერულავა, ა. კოკაია, ლ. სილაგავა

ზესტაფონი — სიონი
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე, ლ. ფანიაშვილი

ზემოიმერლები ზემოთ იხედებიან

საჩხერის „ჩიხურაზე“ ერთი თვის წინ ითქვა, დაშლა ემუქრებაო, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ ამ ამბავს მაშინვე მონაჭორი უწოდა — ეგაა, ხელფასები დაგვიგვიანდა, რაც ადრეც მომხდარაო.

პირველი ლიგის ლიდერებმა შეკრება ბაკურიანში გაიარეს, 16 თებერვალს კი თბილისში ჩამოვიდნენ და 25-მდე, ანუ პირველი ლიგის განახლებამდე აქ დარჩებიან. „ჩიხურას“ თავკაცმა ბადრი ბრეგვაძემ გვითხრა, შემადგენლობა კიდევ უფრო გავაძლიერეთ და უმაღლეს ლიგაში გადასვლას ვუმიზნებთო.

„ჩიხურას“ ახალწვეულები არიან ლაშა ეგაძე, კახა ბერელიძე, შოთა ჩომახიძე და ლაშა ვაშაკიძე. ამაოგან ყველაზე ნაცნობი, ცხადია, ჩომახიძეა. იგი ადრეც თამაშობდა „ჩიხურაში“, ამ სეზონის პირველი წრე კი „სოხუმში“ გაატარა.

ნუკრი ლოლაძე

მოუგე მილანს, შეუყვარდები ინტერს

რაფა რა ფასია?

რაფაელ ბენიტესი

ამბობენ, რომ „ლივერპულის“ ესპანელი მწვრთნელი რაფა ბენიტესი ძალიან მოსწონს მილანის „ინტერს“ და მასში 50 მილიონი დოლარის გაღებასაც არ დაიშურებს.

და რობერტო მანჩინი?

რობერტო მანჩინიზე კი, აი, რას ამბობენ: თურმე ის, რომ დღემდე „ინტერის“ თავკაცია, იმით ყოფილა განპირობებული, რომ „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგიდან ჯერ არ გავარდნილა, მაგრამ საკმარისია, იმ კვირაში მილანელებმა „აიაქსთან“ მერვედფინალის პირველი მატჩი წააგონ, რომ ყველასთვის გასაგები გახდება, „სან სიროს“ ბინადრები მანჩინის ორწლიან კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენ.

ამბობენ იმასაც, შავ-ლურჯების პრეზიდენტს სავარაუდო მწვრთნელთა სიაში ბენიტესის გარდა „არსენალის“ ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი და „პსვ ეინდჰოვენისა“ და ავსტრალიის ნაკრების შეფი გუს ჰიდინკიც უწერიაო.

და მაინც, რით ურჩევნია მასიმო მორატის ბენიტესი ბოლო აბზაცში ჩამოთვლილ ორ ჩინებულ სპეციალისტს? იმით, რომ რაფამ „ლივერპულში“ პირველივე წელიწადს მოიგო ჩემპიონთა ლიგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს კაცი შედეგის დაუყოვნებლივ მომტანთა რიცხვს განეკუთვნება.

„ბენიტესმა უკვე დაამტკიცა, რომ ინგლისსა და ესპანეთში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. „ინტერის“ ხელმძღვანელებს ღრმად სწამთ, რომ იგი იტალიაშიც ტოპ-სპეციალისტთა შორის მოექცევა. თან, „ინტერის“ ქომაგებს ბენიტესმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანის“ გამწარებით გაუხარა გულები. ამას დაამატეთ მისი ადრინდელი მიღწევები „ვალენსიაში“. ბენიტესმა ხომ „ბარსელონასა“ და „რეალის“ ქვეყანაში ორჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული.“ — თქვა „ინტერის“ ანონიმურმა თანამშრომელმა, რომელსაც ის აღარ დაუმატებია, რომ ბენიტესის სახელს ხშირ-ხშირად მადრიდის „რეალშიც“ იმეორებენ, ხოლო „რეალი“ ის გუნდია სადაც რაფამ კარიერის დასაწყისში აგორა ბურთი.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ რაფა ბენიტესმა 2004 წელს „ლივერპულთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და, რამდენადაც ინგლისური წყაროები იტყობინებიან, მხარეები მის განახლება-გაგრძელებაზე მუშაობენ.

კაკუნა კედია

ერიკსონი შესაძლოა კაპელომ შეცვალოს

ნისლი კაპელოს თავზე

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე სვენ გორან ერიკსონი ინგლისის ნაკრებს რომ დატოვებს, ძველი ამბავია. შვედის შემცვლელად ვინ აღარ დაასახელეს — „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი სტიუარტ პირსი, ჩარლტონელი ალან კერბიშლი, სემ ალარდაისი ბოლტონიდან, გლაზგოს „სელტიკის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი... მაგრამ კაპელოს გვარს ალბათ არავინ მოელოდა. იტალიური თუ ინგლისური პრესის ცნობით, ინგლისის ნაკრები შესაძლოა, ფაბიო კაპელომ ჩაიბაროს.

ამბობენ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კაპელოსთვის 2010 წლამდე კონტრაქტსა და სეზონში 4,7 მილიონ გირვანქას ამზადებსო. თავად გამოცდილ ტაქტიკოსს მრავალჯერ უთქვამს, „ნისლიანი ალბიონი“ მიზიდავს და მინდა, კარიერა იქ გავაგრძელოთ, თუმცა იგი ალბათ უფრო რომელიმე ინგლისურ კლუბს გულისხმობდა.

ცოტა ხნის წინ კაპელომ ისიც თქვა, გარწმუნებთ, „იუვენტუსთან“ კონტრაქტის ამოწურვამდე არსად წავალო. ტურინელებთან მის შეთანხმებას კი 2007 წლის ზაფხულში გასდის ვადა. მიუხედავად ამისა, ამ სეზონის ბოლოს მის ხელში ჩაგდებაზე მაინც ფიქრობენ მადრიდის „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და სხვა კლუბები. ახლა კი თვით ინგლისის ნაკრების ვარიანტი გამოჩნდა. მართალია, ეს ყველაფერი ჯერჯერობით ჭორის დონეზეა, მაგრამ, როგორც წესი, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

ჩვენ კი კაპელოს ადრინდელი კომენტარი გავიხსენოთ: „ყოველთვის ვამბობდი, რომ ინგლისური ფეხბურთი მიზიდავს და კარიერის იქ გაგრძელებას არ გამოვრიცხავ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მე უფრო ყოველდღიური მუშაობა მხიბლავს და არა წელიწადში რამდენიმე თამაში. „სკუადრა აძურაც“ სწორედ ამიტომ არ ინტერესდება ჩემით, მე კი მისით, მაგრამ უცხოური ნაკრების გაწვრთნაზე შეიძლება უარი არც ვთქვა, თუ საინტერესო შემოთავაზება მექნება“.

გიორგი კაკაბაძე

პიტერმანიაკი

დიქტატორმა მეოთხე კაცი ჩამოახრჩო

მარიო ლუნა

ვიტორიული „ალავესის“ ჭირვეულმა პრეზიდენტმა დმიტრი პიტერმანმა მორიგი მწვრთნელი დაითხოვა — ამჯერად ხუან კარლოს ოლავაა ის კაცი, ოდესლმა პიტერმანმა დაუმორჩილებლობის გამო ბურთივით რომ მოისროლა. საქმე მადრიდის „რეალთან“ დღევანდელ მატჩში შემადგენლობის დაყენებას ეხება. პრეზიდენტმა მწვრთნელს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სხვა შემადგენლობის გაყვანა მოსთხოვა, ოლივამ კი ამ ბრძანებას წაუყრუა და ამიტომაც გააბურთავეს...

არადა, ხუან კარლოს ოლივას ხუთი ტურის წინ გასაცოდავებული, ცხრილის ბოლო ადგილზე გაჭედილი „ალავესი“ ჩააბარეს, რომელსაც დღეს სეგუნდადივიზიონში გავარდნა აღარ ემუქრება. ბოლო ხუთი თამაშიდან გუნდმა სამი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ოდენ ერთი წაგო ჩემპიონატის ლიდერ „ბარსელონასთან“, ეს კი 10 ქულის აღებას და მეთხუთმეტე, უსაფრთხო ადგილზე გადასვლას ნიშნავს.

„გუნდში მე ავტონომიები და ზედმეტად თავისუფლებისმოყვარე ხალხი არ მჭირდება. მწვრთნელს, რომელიც პრეზიდენტის სიტყვას უგულვებელყოფს, თანამდებობიდან ვათავისუფლებ“ — უთხრა ჟურნალისტებს პიტერმანმა. მერე რატომღაც „ალავესის“ ფეხბურთელებიც გალანძღა — მაგათ ფული სულს ურჩევნიათ, „ალავესის“ მაისურას ღირსების გამო კი არა, რაც შეიძლება მეტი თანხის მოსახვეჭად ატარებენო... მოკლედ, აგინა პრეზიდენტმა დიდსა და პატარას და პრესკონფერენციაც მიატოვა.

„ორშაბათს პიტერმანმა იმ ფეხბურთელების სია მომცა, მისი სურვილის თანახმად „რეალთან“ რომ უნდა ეთამაშათ. მე ამაზე არ დავეთანხმე. ჩემი „ავტონომია“ მანამდე გაგრძელდა, სანამ თავკაცის მორჩილი ვიყავი, ახლა კი უბოდიშოდ დამითხოვეს“ — განაცხადა აწ უკვე ექსმწვრთნელმა ოლივამ. იგი მესამე თავკაცია, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში პიტერმანის ხუშტურებს რომ შეეწირა. ბასკურ ინჩადასაც მოთმინების ფიალა აევსო და პრეზიდენტს ხან „კამპორა“ (წაეთრიე) უყვირეს და ხან „დიქტატორ“... ხუან კარლოს ოლივას შემცვლელად კი არგენტინელი სპეციალისტი მარიო ლუნა დანიშნეს.

ლადო ხომერიკი



ბერტი კლინსის თვალია

ბერტი ფოგთსი მსოფლიოს ჩემპიონატზე იურგენ კლინსმანს დაეხმარება. იგი „მზვერავად“ იმუშავებს, ანუ მეტოქეებზე ინფორმაციას მოაგროვებს და ბუნდესნაკრების თავკაცს მიართმევს.

ფოგთსს ეს პოსტი გერმანის საფეხბურთო კავშირმა დაუმტკიცა. 59 წლის გერმანელი, ვინც ნაკრებს 1990-დან 1999 წლამდე წვრნიდა, კლინსმანის სამწვრთნელო ჯგუფში იქნება. „მე ეს სამუშაო კავშირმა დამაკისრა, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ“ — თქვა ფოგთსმა. მას თანაშემწეც ეყოლება — 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი დიტერ აილტსი.

